

ენის ჰუმბოლდტისეული კონცეფცია და დისკურსი როგორც შემოქმედებითი აქტი

ლინგვოიმიანენტური შემოქმედება, დისკურსის
ჰუმბოლდტისეული ანალიტიკა

ელისო ოდიკაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

როგორც წესი, ჰუმბოლდტის შემოქმედებაზე საუბრისას აღინიშნება მისი ნააზრევის ის ასპექტი, რომლის მიხედვითაც ენა გაგებულია, როგორც სამყაროს ხატი და აგრეთვე, რომ „ენა არის ენერგია და არა ერგონი“ (Sie selbst ist kein Werk (Ergon), sondern Tätigkeit (Energeia) [ჰუმბოლდტი 1973:36]. მაგრამ არსებობს ჰუმბოლდტის ნააზრევის მეორე მომენტიც, რომელიც კონცენტრირებულია არა იმდენად სამყაროს, როგორც მთლიანის ენობრივ ინტერპრეტაციაზე, არამედ მეტყველებაზე, როგორც ენობრივ ფენომენზე („დისკურსზე“). ამ შემთხვევაშიც ჰუმბოლდტი გამოკვეთს ენის შემოქმედებით არსს.

ჩვენი მიზანია, ენის ჰუმბოლდტისეული კონცეფციის განხილვისას გამოვკვეთოთ სწორედ „მეტყველება მის მთლიანობაში“, რადგან ჰუმბოლდტი ენის ფუნქციურ არსს (ანუ შესაბამისად მის შემოქმედებითობასაც) პირდაპირ უკავშირებს მეტყველებას: „...die Definition des jedesmaligen Sprechens ... kann man nur gleich an die Totalität dieses Sprechens als die Sprache ansehen“. იგი თვლიდა, რომ მხოლოდ მეტყველება მის მთლიანობაში და არა ენის ცალკეული ელემენტები გამოხატავს (ან წარმოაჩენს) ენას მთელი სისავსით: „Gerade das Höchste und Feinste lässt sich an jenen Elementen nicht erkennen und kann nur ... in der verbundenen Rede wahrgenommen oder geahndet. Nur sie muss man sich... als das Wahre und Erste denken. [ჰუმბოლდტი 1973:36] როგორც ჩანს, ჰუმბოლდტის მიხედვით, ენობრივი შემოქმედების წყარო და ძირი სწორედ მეტყველებაში უნდა დავინახოთ. მისი აზრით, ენა მისი არსებითი თვითგამოვლინებით სწორედ დისკურსში ვლინდება. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ენობრივ შემოქმედებას ჰუმბოლდტთან ორი ასპექტი აქვს:

1. როცა ენა ავლენს თავის შემოქმედებას **სამყაროს მიმართ**, რაც იმას ნიშნავს, რომ ენაში სამყარო გვევლინება გარდაქმნილი სახით. აქ ხდება სამყაროს, როგორც ენის გარშემო არსებული მოცემულობის გაშინაგანება და ენობრივ ხატად გარდაქმნა. ეს სწორედ ის ასპექტია, რომელიც არის ხოლმე გამოკვეთილი ჰუმბოლდტისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ლიტერატურაში;

2. და მეორე ასპექტი, რომელსაც თვით ჰუმბოლდტი გამოკვეთს სწორედ მაშინ, როცა იგი წერს დისკურსზე.

რაში მდგომარეობს განსხვავება ენობრივი შემოქმედების ამ ორ განზომილებას შორის? პირველ შემთხვევაში შემოქმედება ნიშნავს არაენობრივის ენობრივად გარდაქმნას – ექსტრალინგვისტურის ლინგვისტურად ქცევას, მეორე შემთხვევაში კი ჰუმბოლდტთან გამოკვეთილია ენობრივი შემოქმედების **იმანენტურობა** – ენობრივი შემოქმედება, როგორც იმანენტური პროცესი. ამით ჩვენ იმის თქმა გვსურს, რომ ამ შემთხვევაში შემოქმედება დანახულია თვით სამეცნიერო პროცესის ფარგლებში და გულისხმობს ამ პროცესში მონაწილე ენობრივ ელემენტთა ურთიერთშემოქმედებას. ყოველივე ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ მეტყველების აქტი მუდამ წარმოადგენს ენობრივი შემოქმედების, როგორც იმანენტური პროცესის, აქტს. მისი მთელი სტრუქტურა ფონემიდან წინადადებამდე ამ შემოქმედების ობიექტად იქცევა.

მაგრამ ლინგვოიმანენტური შემოქმედების კუთხით ჰუმბოლდტის მოსაზრებები ვერ აისახა თანამედროვე ლინგვისტურ აზროვნებაში; და ეს, ჩვენი აზრით, სრულიად არ იყო შემთხვევითი, რადგან ამ აზროვნებისთვის დამახასიათებელი კონცეპტუალური სისტემა არ იყო საკმარისი ამ იდეის ადეკვატური ინტერპრეტაციისა და აქტუალიზაციისთვის. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ საჭიროა ამ სისტემის თეორიული „შევსება“ სწორედ ენის ჰუმბოლდტისეული კონცეფციის გათვალისწინებით და, გარდა ამისა, საჭიროა ტექსტის, როგორც დისკურსის საკუთრივ ენობრივი განზომილების ისეთი გააზრება, რომლის შედეგად შესაძლებელი გახდებოდა მისი (ტექსტის) სემანტიკური ანალიზი საკუთრივ ჰუმბოლდტისეული, ანუ ენერგეისტული გაგებით. ვფიქრობთ, სწორედ ამის შედეგად, შესაძლებელი უნდა გახდეს ის, რასაც კვლევის პროცესში ვუწოდებთ „ენერგეისტულ ანალიტიკას“:

იმისათვის, რომ გამოვიკვლიოთ და დავადგინოთ ჰუმბოლდტისეული კონცეფციის ლინგვოიმანენტური არსი, საჭიროა, დავეყრდნოთ ერთდროულად თანამედროვე ლინგვისტიკის როგორც სისტემურ, ისე კომუნიკაციურ პარადიგმებს, შემდეგ კი გამოვიმუშავოთ ტექსტის იმ

ენერგეისტული ანალიტიკის მეთოდი, რომელიც, ერთი მხრივ, დაეყრდნობა ზემოთხსენებულ პარადიგმულ მონაცემებს, მეორე მხრივ კი შემუშავებს ენერგეისტული ანალიტიკის ისეთ მეთოდს, რომელსაც ექნება საკუთარი კონცეპტუალური სტრუქტურა და საკუთარი კვლევითი ვექტორი. მაგრამ იმისათვის, რომ მოხდეს კვლევის ამ მეორე გადაამწყვეტი ეტაპის რეალიზაცია, საჭიროდ მიგვაჩნია, განვსაზღვროთ ლინგვისტური კვლევის ის პრინციპები, რომლებსაც, როგორც ითქვა, დავეყრდნობით ხსენებული გადამწყვეტი სტადიის კონცეპტუალური შემუშავების მიზნით. ეს პრინციპები, მიუხედავად იმ პარადიგმული განსხვავებისა, რომელიც მათ შორის გარდუვალად უნდა არსებობდეს, ამავე დროს უნდა ხასიათდებოდნენ იმ შინაგანი ფუნქციური ერთობლიობით, რომლის არსებობასაც და მნიშვნელობასაც გვკარნახობს ჩვენ მიერ დასახული მიზანი. ეს პრინციპებია: ერთი მხრივ ვერბოცენტრიზმის პრინციპი, რომელიც განსაზღვრავს წინადადების ფუნქციას და სტრუქტურას, რომელიც შემუშავებული იქნა ლინგვისტური კვლევის სისტემური კვლევის ფარგლებში, მეორე მხრივ კი ტექსტოცენტრიზმი, რომელიც, როგორც ცნობილია, შემუშავებულია კომუნიკაციური პარადიგმის მიერ. შესაბამისად, სანამ შევეცდებით ტექსტის ენერგეისტული ანალიზის საორიენტაციო მეთოდური სქემის შემუშავებას, გვსურს, კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ ამ ორი პრინციპის ჯერ კიდევ იმპლიციტური, მაგრამ ამავე დროს მთელი ენობრივი რეალობის მიერ ლოგიკით ნაკარნახევი შინაგანი ერთიანობა: თუ ვერბოცენტრიზმი განსაზღვრავს წინადადების სტრუქტურას, ხოლო თანამედროვე კომუნიკაციურ ლინგვისტიკაში წინადადება აღიქმება ტექსტის უშუალო კონსტიტუენტად, შეუძლებელია, არ არსებობდეს ვერბოცენტრიზმსა და ტექსტოცენტრიზმს შორის ის შინაგანი კავშირი, რომლის ექსპლიციტური სახით ფორმულირებამ შეიძლება, მიგვიყვანოს ლინგვიოიმანენტური ენობრივი შემოქმედების შინაგანი სტრუქტურის დადგენამდე.

რაც შეეხება თვით ტექსტის ენერგეისტულ ანალიტიკამდე მისასვლელ გზას: ეს გზაც, ჩვენი აზრით, შედგება ორი შემდეგი ეტაპისაგან. ეს ეტაპებია:

ა) უნდა გამოიკვეთოს ის შინაგანი არსებითი ერთიანობა, რომელიც არსებობს ენერგეისტულობის ლინგვოტრანსცენდენტურ და ლინგვიოიმანენტურ პოლუსებს შორის. ეს ერთიანობა კი მდგომარეობს იმაში, რომ ორივე შემთხვევაში „საქმე გვაქვს“ ენობრივ შემოქმედებასთან, უფრო ზუსტად კი ამ შემოქმედებითობის ორ განსხვავებულ პოლუსთან. აუცილებელია ითქვას, რომ საბოლოო ანგარიშში ორივე ეს პოლუსი განისაზღვრება *ენის* შემოქმედებითობით, თუმცა იმ განს-

ხვავებით, რომელიც ამავე დროს გვიქმნის ორ განსხვავებულ პოლუსზე მსჯელობის საფუძველს.


ენობრივი შემოქმედებითობის პირველი პოლუსი ეფუძნება ენის, როგორც უკვე ითქვა, როგორც სამყაროს ხატის ჰუმბოლდტისეულ ხედვას, მაგრამ ამავე დროს ხაზი უნდა გაესვას შემდეგ ფაქტს. ენის კომუნიკაციური აქტუალიზაციის პროცესში, რა თქმა უნდა, ენობრივი სუბიექტი, როგორც კომუნიკანტი თავისი ნებითა და სურვილით (და ამ თვალსაზრისით იგი რამდენადმე მაინც არის თავისუფალი) ირჩევს კომუნიკაციის ობიექტს ამა თუ იმ რეფერენტული სიტუაციის სახით და ირჩევს ამ ობიექტთან დაკავშირებულ კომუნიკაციურ თემას. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ის ჯერ კიდევ ნაკლებად გათვალისწინებული ფაქტი, რომ სამყაროს ენობრივი ხატის კონცეპტი შინაგანად შეიცავს სამყაროს არა მხოლოდ ლექსიკურ, არამედ სინტაქსურ სტრუქტურირებასაც, რადგან სწორედ ენობრივ სისტემაში არსებული სინტაქსური მოდელები განაპირობებენ იმ რეფერენტული სიტუაციის ენობრივი სტრუქტურირების მოდუსს, რომლითაც წინასწარ განსზღვრულია დისკურსის საკუთრივ ენობრივი ანუ ტექსტობრივი განზომილება. ყოველივე ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლინგვოტრანსცენდენტური ენობრივი შემოქმედების დისკურსულ-კომუნიკაციური ასპექტი წარმოადგენს ორი შემოქმედებითი სუბიექტის – ენის, როგორც „ენერგეის“ და ენობრივი სუბიექტის, როგორც კომუნიკანტის შემოქმედებით სინთეზს;

ჩვენი კვლევითი ჰიპოთეზა მდგომარეობს შემდეგში: ზემოთ ნათქვამის შესაბამისად, აუცილებელი ხდება, დისკურს-ტექსტის ფარგლებში გავმიჯნოთ და ერთმანეთს დავუპირისპიროთ, ერთი მხრივ, დისკურსის სუბიექტის, როგორც კომუნიკანტის შემოქმედებითობა (ანუ, ნებისმიერი დისკურსისთვის დამახასიათებელი ის ფაქტი, რომელიც გულისხმობს ამ სუბიექტის მიერ ტექსტში ასასახი რეფერენტული სიტუაციის არჩევას და ვერბალიზაციას) და ასევე ნებისმიერი დისკურს-ტექსტისთვის გარდუვალი ის ლინგვო-იმანენტური შემოქმედებითობა, რომელსაც გულისხმობს ენის ჰუმბოლდტისეული კონცეფცია. მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, დისკურსის ამ ერთი პოლუსიდან მეორემდე მეთოდურ-კონცეპტუალური მისვლა გულისხმობს იმ გზის გავლას, რომლის გარეშე, ჩვენი აზრით, ვერ იქნება აღქმული და გააზრებული დისკურს-ტექსტისთვის დამახასიათებელი ლინგვო-იმანენტური შემოქმედებითობა. ეს გზა კი, გულისხმობს სამი შემდეგი ნიშან-თვისების – საფეხურეობრიობის, იერარქიულობის და დინამიურობის – შერწყმას. და, რა თქმა უნდა, ამ „სამეულში“ შემავალი

ყოველი ხსენებული დისკურსული მომენტი მოითხოვს „გაშიფვრას“ კონკრეტულ ტექსტობრივ მასალაზე დაყრდნობით.

მაგრამ, ჩვენი აზრით, ჰუმბოლდტის ენერგეისტული კონცეფციის თანამედროვე რეცეფციის პრობლემა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ყოველგვარ ამგვარ კონკრეტულ ანალიტიკას წინ უნდა უსწრებდეს თეორიულ-ჰიპოთეტური მოსაზრების გამოთქმა. რაც შეეხება ხსენებული „სამეულის“ შინაარსობრივ კონცეპტებს – რა თქმა უნდა, კვლავ ჯერჯერობით თეორიულ-ჰიპოთეტურ დონეზე: „საფეხურეობრიობა“, ბუნებრივია, გულისხმობს ქვემოთ გრაფიკულად წარმოდგენილი მოდელის ერთი პოლუსიდან მეორემდე მისვლას; „იერარქიულობა“ იმ როლს თუ ფუნქციას, რომელსაც დისკურს-ტექსტის ესა თუ ის ელემენტი ასრულებს უპირატესად პირველ თუ მეორე პოლუსთან მიმართებაში, ხოლო „დინამიურობა“ კი გულისხმობს ამ ორპოლუსიანი მოდელის არა სტატიკურ, არამედ პრინციპულად დინამიურ ხედვას. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ხსენებულ სამეულში უნდა გამოიკვეთოს ლინგვოიმიანენტური შემოქმედებითობის მიმანიშნებელი ვექტორი. რაც შეეხება დისკურს-ტექსტის ენერგეისტულად გაგებულ შემოქმედებითობას, იგი ატარებს მთლიანად ლინგვოიმიანენტურ ხასიათს, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, იგი მთლიანად განისაზღვრება ერთ – მისი იმ შინაგანი სტრუქტურით, რომელიც, ჩვენი აზრით, არეკლავს ორი პრინციპის – ვერბოცენტრიზმისა და ტექსტოცენტრიზმის შინაგან განუყოფელობას.

როგორც ზემოთ ითქვა, კვლევის პირველ ეტაპზე უნდა მოვახდინოთ ენობრივი შემოქმედებითობის იმ ბიპოლარული სტრუქტურის მოდელირება, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა მსჯელობა. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი კვლევის ფარგლებში პირველად ხდება ხსენებულ პოლუსთა გამოყოფა და გამიჯვნა, ხსენებული მოდელი იქნება მაქსიმალურად მარტივი, მაგრამ ამავე დროს იმის ამსახველი, რაც ზემოთ უკვე ითქვა. ეს მოდელი უნდა გამოიყურებოდეს შემდეგნაირად:



მაგრამ, თუ დავაკვირდებით ენობრივი შემოქმედებითობის ამ, ერთი შეხედვით მარტივ, ბიპოლარულ მოდელს, გასაგები იქნება ისიც, რომ ლინგვოიმიანენტურობის წმინდა ენობრივი (ანუ კომუნიკანტის თავისუფალი ნებისგან დამოუკიდებელი) განმსაზღვრელი მეთოდი უნდა გულისხმობდეს არა მხოლოდ პირველი პოლუსისადმი დაპირისპირებულობას, არამედ იმ გზასაც, რომელიც დისკურსისა და

ტექსტის ანალიზმა უნდა გაიაროს იმისთვის, რომ შეიძინოს ენერგის-ტული არსი და ვექტორი. შესაბამისად, გვსურს, გამოვყოთ და დავანასიათოთ ამ მეთოდური გზის შემდეგი ეტაპები:

1. პირველი ეტაპი განსაზღვრულია ჩვენ მიერ უკვე წამოყენებული იმ ჰიპოთეზით, რომელიც გულისხმობს ტექსტოცენტრიზმის და ვერბოცენტრიზმის ექსპლიციტურ ურთიერთდაკავშირებას. და თუ ამ ჰიპოთეზას მივუსადაგებთ გასაანალიზებელ ობიექტს ანუ ტექსტს, მაშინ საქმე გვექნება ტექსტობრიობის ორ სტრუქტურულ დონესთან – *მაკრო* – და *მიკროდონეებთან*. წინსწრებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტექსტის სტრუქტურული მაკროდონე ნებისმიერ შემთხვევაში წარმოდგენილია მისი თემატური და კომპოზიციური სტრუქტურით, მიკროდონე კი – *ზმნით*. მაგრამ იმისთვის, რომ ჰიპოთეზურად და წინსწრებით ნათქვამი ანალიტიკურად დადასტურდეს, საჭიროა, როგორც ითქვას, ტექსტის ბიპოლარულობით ნაგულისხმევი გზის გავლა;

2. მეორე ეტაპზე აუცილებელი უნდა იყოს ხსენებული გზის, როგორც დისკურსულ-ტექსტობრივი ენერგისტულობის გამოვლენის „შიდა მექანიზმის“, აღქმა და დახასიათება;

3. ხსენებული „შიდა მექანიზმის“ დამდგენელი გზა გულისხმობს იმას, რაც უკვე განსაზღვრულია ზემოხსენებული ორი ასპექტით: ეს გზა თითქოსდა ნიშნავს ტექსტის მთლიანობის ისეთ მოდელირებას, რომელიც ამავე დროს უნდა ნიშნავდეს მის სტრუქტურულ „შეკუმშვას“ და სწორედ იმ ენობრივ და ტექსტობრივ „უჯრედამდე“ მისვლას, რომლითაც გარანტირებული უნდა იყოს ლინგვიოიმანენტური შემოქმედებითობის ფაქტი.

სქემატურად მანაც დავახასიათოთ ზემოთხსენებული სამი ეტაპი:

I ეტაპით ნაგულისხმევი მეთოდური გზის, ანუ მისი შიდა მექანიზმის სტრუქტურა გვესახება შემდეგნაირად: ეს შიდა მექანიზმი, ანუ მაკონსტიტუირებელი აქტი, გარდუვლად უნდა გულისხმობდეს ტექსტის ქვემოთ დასაზუსტებელი სამი ფუნდამენტური განზომილების ურთიერთშემოქმედებას. ვიგულისხმობთ, რომ ამ „*განზომილებრივ სამეულს*“ აქვს შემდეგი იერარქიულ-დინამიური სტრუქტურა: ტექსტი, როგორც ცნობილია და როგორც უკვე ითქვას, წარმოადგენს თემატურად ურთიერთდაკავშირებულ წინადადებათა თანმიმდევრობას, მაგრამ ამავე დროს და გარდუვლად ყოველი წინადადება არის იერარქიულად განპირობებულ ურთიერთმიმართებაში ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულ ორ სტრუქტურულ ელემენტს შორის: იგი ა) შედის ამა თუ იმ *სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის* შემადგენლობაში, ანუ წარმოადგენს მის ინტეგრანტს და ამავე დროს; ბ) იგი

შინაგანად განისაზღვრება მასში შემავალი იმ ელემენტით, რომელიც წარმოადგენს მის სტრუქტურულ და ამავე დროს მაკონსტიტუირებელ ცენტრს, ანუ *იმ ზმნით*, რომლის ვალენტობის რეალიზაციასაც იგი წარმოადგენს. „დამოკიდებულებათა გრამატიკის მოდელის (ლ. ტენიერი) მიხედვით წინადადების იერარქიულ სტრუქტურას ზმნა განსაზღვრავს“ [ფოლტმერი 2005: 57]. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კითხვაზე, თუ რას წარმოადგენს წინადადება სემანტიკური თვალსაზრისით ტექსტის მოცემულ მონაკვეთში, უნდა ვუპასუხოთ ერთდროულად ამ ორ ზემოხსენებულ მომენტზე, ანუ *სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმაზე* და, შესაბამისად, *ზმნაზე* დაყრდნობით.

2. ხსენებული შიდა მექანიზმის დადგენის მეორე ეტაპად უნდა ვიგულისხმოთ სწორედ იმ ენობრივ-ტექსტობრივი უჯრედის „დადგენა“, რომელიც „უზრუნველყოფს“ ლინგვიმანენტური ენერგეისტულობის გამოვლინებას. შემოქმედებითობის ლინგვიმანენტურობის იდეა არამც თუ არ უნდა უარყოფდეს გარდუვალ კავშირს ენობრივი შემოქმედების ლინგვოტრანსცენდენტურ ასპექტთან, არამედ უნდა გულისხმობდეს კიდევ მას, როგორც საკუთარი მოცემულობის წინაპირობას; მაგრამ, ამავე დროს, ცხადი უნდა იყოს ისიც, რომ ვერ ვილაპარაკებთ ენობრივი შემოქმედებითობის ლინგვიმანენტურ ასპექტზე, თუ ამ ასპექტს არ ექნება *ტექსტის ფარგლებში გენეზისის, არსებობის და ფუნქციონირების* საკუთარი „ადგილი“ – საკუთარი, თუ შეიძლება ასე ითქვას, „*ტექსტობრივი ტოპოსი*.“ ზემოხსენებულ ცნება-ტერმინთა ერთობლიობას (საფეხურეობრიობა, იერარქიულობა და დინამიურობა) შეუძლია, ჩვენი აზრით, ამ „ტექსტობრივი ტოპოსის“ გამოვლენა.

3. როგორც ითქვა, ამ ტოპოსად უნდა მივიჩნიოთ *ზმნა*, რომელიც უნდა მივიჩნიოთ როგორც წინადადების, ისე სამეტყველო-კომპოზიციური ფორმის სტრუქტურულ ცენტრად.

თუ ერთდროულად გავითვალისწინებთ ყოველივე იმას, რაც წარმოადგენდა ჩვენი ამოსავალი ჰიპოთეზის შინაარსს და იმასაც, რაც ზემოთ ითქვა პოლუსებს შორის გზის გავლის თაობაზე, დასკვნის სახით ლინგვიმანენტური ენერგეისტულობის ზემოთ წარმოდგენილი კონცეფცია მთლიანობაში მიიღებს შემდეგ სახეს:

ზემოთ ხსენებული ანალიტიკური პროცედურების შედეგად გამოვლინდა ამგვარად გაგებულ ინტეგრალური სემანტიკის ისეთი შიდა სტრუქტურა (შიდა „მექანიზმი“), რომელიც ხასიათდება „*საფეხურეობრიობით, იერარქიულობით და დინამიურობით*.“ გარდა ამისა, გამოიკვეთა ტექსტობრივი სემანტიკის შინაგანი ვექტორი შესაბამისი „ტოპოსით.“ ამავე დროს, რა თქმა უნდა, აუცილებელი გახდა ამგვარად ფორმულირებული კონცეპტუალური სიახლის შემოტანა დისკურ-

ტექსტის არსებულ თეორიაში იმის განსასაზღვრად, თუ როგორ (რომელ) კონცეპტუალურ მომენტზე დაყრდნობით „გავვედო ხიდი“, ერთი მხრივ, ჩვენ მიერ შემოტანილ, მეორე მხრივ კი, დისკურს-ტექსტის დღეისთვის არსებულ ანალიტიკურ პროცედურებს შორის, სწორედ ამ მიზანს „მოემსახურა“ ტექსტობრივი სტრუქტურის ის დიქტომიზაცია, რომელიც ჩვენ განვახორციელეთ და რომლის შედეგად ტექსტის სტრუქტურაში გამოიყო ორი მუდამ არსებული განზომილება მისი თემატური და კომპოზიციური სტრუქტურების სახით. როგორც ამ სახით განხორციელებულ დიქტომიზაციასთან დაკავშირებულმა მსჯელობამ გვიჩვენა, გამოვლინდა სიღრმისეული კავშირი ტექსტის ამგვარ სტრუქტურასა და მეტყველების ნაწილთა სისტემის აგრეთვე დიქტომიურ სტრუქტურას შორის: როგორც ვნახეთ, ტექსტის თემატური სტრუქტურის აგებას თავის თავზე იღებს „სახელი“, კომპოზიციური სტრუქტურის კი – „ზმნა“. ზმნა წარმოადგენს არა მხოლოდ წინადადების სტრუქტურულ ცენტრს, როგორც ამას გულისხმობს წინადადების თანამედროვე ვერბოცენტრისტული თეორია, არამედ ტექსტის სიღრმისეულად მაკონსტიტუირებელ სტრუქტურულ ცენტრსაც – „ზმნას არა მხოლოდ შინაარსობრივი თვალსაზრისით აქვს დიდი მნიშვნელობა წინადადებაში, არამედ ის გავლენას ახდენს მის სტრუქტურაზე და მთლიანად განსაზღვრავს მის წყობას“ [ეპლერი 2008 :4].

ისმის კითხვა: რა გვაძლევს ამგვარი ჰიპოთეზის გამოთქმის საფუძველს, თუ დავრწმუნდით იმაშიც, რომ ნებისმიერი ტექსტის სტრუქტურა შინაგანად დიქტომიზირებულია და ამ დიქტომიურობის ორივე პოლუსი – როგორც თემატური, ისე კომპოზიციური – ერთნაირად აუცილებელია ნებისმიერი ტექსტისთვის? ვფიქრობთ, ჩვენ მიერ ჩატარებულმა ანალიზმა ნაწილობრივ მაინც გასცა ამ კითხვაზე პასუხი: ტექსტის ნომინალური ასპექტი შეიძლება უსასრულოდ იცვლებოდეს, და, შესაბამისად, შეიცვლება მისი თემატური სტრუქტურაც; მაგრამ, როგორც ცნობილია, ზმნისგან განპირობებული კომპოზიციურ სტრუქტურათა რაოდენობა ისევე შეზღუდული და წინასწარ განსაზღვრულია, როგორც, თანამედროვე ტრანსფორმაციული გრამატიკის მიხედვით, შეზღუდული და განსხვავებულია წინადადების სიღრმისეულ სტრუქტურათა რაოდენობა ნებისმიერ ენაში. და თუ ეს ასეა, მაშინ შეგვიძლია, ალბათ, გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა: ენობრივი სისტემის აქტუალიზაციის ნებისმიერი შემთხვევა – სულერთია, რომელი ფუნქციური სტილის ფარგლებში ხდება ეს აქტუალიზაცია და რომელი სამეტყველო ორგანოს „გატექსტებასთან“ გვაქვს საქმე მოცემულ შემთხვევაში – ავლენს ზმნის, როგორც მეტყველების ნაწილის გამჭოლ და „ყოვლისმომცველ“ ცენტრალურობას. მაგრამ ხსენებული

ცენტრალურობა დარჩება მხოლოდ და მხოლოდ მეტაფორად, თუ ამავე დროს არ გავაფართოვებთ და არ გავალრმავებთ სინტაქსურ ვერბოცენტრიზმთან მის შინაგან კავშირს, რომლის არსებობის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა ჯერჯერობით მხოლოდ ეპიზოდური სახით საუბარი. მაგრამ, თუ გვსურს მართლაც გამოვთქვათ ჰიპოთეზა ზმნის ამგვარი ცენტრალური სტატუსის შესახებ, საჭირო იქნება, ალბათ, მოვახდინოთ ამ ჰიპოთეზის დაფუძნება ორგვარად:

1. ჯერ გავაფართოვოთ და გავალრმავოთ ზემოთ ხსენებული მეტაფორულობა ისე, რომ მან პირველი, წმინდა წარმოდგენითი საფუძველი დაუდოს ჰუმბოლდტისეული ლინგვიმანენტური შემოქმედებითობის დადასტურებას: წარმოვიდგინოთ, რომ ნებისმიერი დისკურსულ-ტექსტობრივი წარმონაქმნი, რომელიც წარმოადგენს ენობრივი სისტემის აქტუალიზაციის შედეგს, შეიძლება არსებობდეს და ფუნქციონირებდეს, როგორც უსასრულოდ გაფართოების უნარის მქონე ენობრივი სტრუქტურა. თუმცა არსებობს სტრუქტურული ხასიათის შეზღუდვა: „უნდა გავუწიოთ ანგარიში“ იმ ფაქტს, რომ ამგვარი ენობრივი დისკურსულ-ტექსტობრივი სტრუქტურის წარმოდგენისას ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გვქონდეს საქმე ამა თუ იმ სამეტყველო-კომპოზიციურ ფორმასთან – ან შეტყობინებასთან, ან აღწერასთან, ან მსჯელობასთან.

2. მაგრამ რომელი სინტაქსური ერთეულით იქნება რეალიზებული ამ ფორმებით ნაგულისხმები სემანტიკა – ერთი წინადადებით თუ წინადადებათა გარკვეული ერთობლიობით – და იქნება თუ არა ეს ერთობლიობა წარმოდგენილი მიკრო-, მაკრო – თუ მეგატექსტური სახით – ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ სამეტყველო აქტის კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით. ამიტომ შეიძლება ითქვას: აქტუალიზირებული ენა მისი არსებობის ნებისმიერ მომენტში შეიძლება წარმოვიდგინოთ ისეთი კონცენტრული წრეების სახით, რომელთა რადიუსები შეიძლება უსასრულოდ იზრდებოდნენ, მაგრამ ცენტრი კი უცვლელი რჩებოდეს. როგორც ჩანს, სწორედ ასე უნდა წარმოვიდგინოთ, ერთი მხრივ, ზმნის და კომპოზიციური ფორმის, მეორე მხრივ, კი კომპოზიციური ფორმისა და წინადადების ურთიერთმიმართება აქტუალიზირებულ ენაში: ის, რასაც გულისხმობს თვით კომპოზიციური ფორმის იდეა (იქნება ეს შეტყობინება, აღწერა თუ მსჯელობა), შეიძლება რეალიზებულ იქნას, როგორც წინადადების, ისე ტექსტის სახით, მაგრამ ამით არ შეიცვლება ზმნის ფუძემდებელი ფუნქციურ-სტრუქტურული სტატუსი და საქმე გვექნება მართლაც გამჭოლ და ყოვლისმომცველ ვერბოცენტრულობასთან.

და თუ მეტაფორულობიდან გადავალთ ჩვენი ჰიპოთეზის კონცეპტუალურ ასპექტზე, ეს უნდა ნიშნავდეს სწორედ ზმნის როლის და სტატუსის სრულიად ახალ განსაზღვრას ენის როგორც სისტემური, ისე დისკურსულ-ტექსტობრივი გაგებით.

ვფიქრობთ, ზმნის ამგვარი, ანუ გამჭოლი და ყოვლისმომცველად ცენტრალური სტატუსის მტკიცებით გადავდგით პირველი ნაბიჯი ლინგვიმანენტური შემოქმედებითობის, როგორც ენერგეისტული იდეის დადასტურებისკენ. მაგრამ, ბუნებრივია, დაისმის კითხვა: რას უნდა წარმოადგენდეს ამ მიმართულებით გადადგმული „მეორე ნაბიჯი“ და როგორ უნდა დაუკავშირდეს ამგვარად გააზრებული ვერბოცენტრიზმი ჰუმბოლდტისეულ ნააზრევს?

ჩვენი საკვლევი გზის მეორე ამგვარი ნაბიჯი, ჩვენი აზრით, უნდა მდგომარეობდეს შემდეგში: აუცილებელია, თუნდაც დროებით შევწყვიტოთ წმინდა თეორიული მსჯელობა და „შემოვიყვანოთ“ ხსენებული გზის სივრცეში ამ მონაკვეთის კორელაციური ანალიტიკური ასპექტი. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ჩვენი თეორიული მსჯელობის დასასრულს: მიუხედავად იმისა, რომ დავეყრდენით თანამედროვე ლინგვისტიკის საკმაოდ ფართოდ წარმოდგენილ ცნებით აპარატს, ხსენებული მსჯელობა მაინც ატარებდა ჰიპოთეტურ ხასიათს. რამდენად ადეკვატურია ჩვენი ჰიპოთეტური მოსაზრება? იმისთვის, რომ ამ კითხვაზე პასუხი მეტად თუ ნაკლებად დამაჯერებელი იყოს, ჩვენი თეორიულ მსჯელობა დაუკავშირეთ ერთისა და იმავე კონკრეტულ სემანტიკურ უნივერსალიას – პროცესუალურობას.

ჩვენი კვლევის ანალიტიკურ ნაწილს ვყოფთ ორ ეტაპად: ჯერ დავრჩებით პროცესუალურობის, როგორც სემანტიკური უნივერსალიის ფარგლებში და შევეცდებით ვნახოთ, თუ როგორ შეიძლება მოხდეს ამგვარი უნივერსალიის „გატექსტება“ იმ შემთხვევაში, თუ ამ გატექსტების ავტორი და ადრესანტია ჟურნალისტი-რეპორტიორი, ხოლო ადრესატად შეიძლება წარმოვიდგინოთ ამ რეპორტაჟის ნებისმიერი მკითხველი-რეციპიენტი. ბუნებრივია, ვსვამთ კითხვას იმის თაობაზე, თუ რას უნდა ნიშნავდეს ამ რეპორტაჟის ტექსტის ენერგეისტული ანალიზი და რითი უნდა განსხვავდებოდეს ეს ანალიზი მისი „ჩვეულებრივი“, ანუ კომუნიკაციურ-პრაგმატიკული ანალიზისაგან. იქიდან გამომდინარე, რომ კონკრეტულ ტექსტთან დაკავშირებით ამგვარი კონკრეტული კითხვის დასმით ვიწყებთ მთელი ჩვენი თეორიული მსჯელობის პრაქტიკულ პლანში გადაყვანას, დავყოთ ენერგეისტულად წოდებული ჩვენი ანალიტიკური პროცედურა ეტაპებად. ვფიქრობთ, ეს ეტაპობრიობა არ ეწინააღმდეგება დინამიურობის, საფეხურეობრიობის და იერარქიულობის იმ იდეას, რომლის

მიხედვით გასაანალიზებელი ტექსტი უნდა ხასიათდებოდეს სწორედ ამგვარი თვისობრიობით. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ენერგეისტულობას ჩვენი გაგებით უნდა ჰქონდეს *ზმნით* წარმოდგენილი თავისი ცენტრი მაშინ, ჩვენი აზრით, ენერგეისტული ანალიზი უნდა ნიშნავდეს ამ ცენტრამდე „მისვლის“ მეთოდს (გავიხსენოთ, რომ „მეთოდი“ პირველდაწყებითად „გზას“ ნიშნავდა).

როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ ენერგეისტული ტოპოსისაკენ მიმავალი ეს გზა? პირველ რიგში იმის გათვალისწინებით და ხაზგასმით, რომ ამ შემთხვევაში სახეზეა ჟურნალისტური ინფორმაციული დისკურსის ის ჟანრი, რომელსაც „რეპორტაჟი“ ეწოდება. იქიდან გამომდინარე, რომ ნებისმიერი ჟურნალისტი შეიძლება მოგვევლინოს განსხვავებულ ჟურნალისტურ ჟანრთა ავტორად, ამ ჟურნალისტის რეპორტიორობა და მისი ტექსტის რეპორტიორობით განპირობებული თემატურობა უნდა მივიჩნიოთ ლინგვოტრანსცენდენტური შემოქმედებითობის პირველ და აუცილებელ მომენტად, რომლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ნებისმიერი დისკურსი. და სწორედ შემოქმედებითობის ამგვარ, ანუ წმინდა სუბიექტურ ასპექტზე დაყრდნობით არის განსაზღვრული ტექსტის ის სტრუქტურული ასპექტი, რომელსაც ჩვენ *ნომინალურ-თემატური* ასპექტი (თუ განზომილება) ვუწოდებთ. ყველა ან თითქმის ყველა ეს არსებითი სახელი ძირითადად კი მათი ერთობლიობა გვიჩვენებს, რომ ამ შემთხვევაში ტექსტის თემატურ სტრუქტურას ალყაში მყოფი ქალაქი ჰომისი განაპირობებს. რაკი ვიცით, რომ ამგვარ თემატურ სტრუქტურათა შესაძლო რაოდენობა პრაქტიკულად უსასრულოა, უნდა მივიჩნიოთ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ამა თუ იმ ადერსანტის თემატური ინიციატივის გამოჩენა წარმოადგენს, რა თქმა უნდა, შემოქმედებით აქტს, მაგრამ ამ შემთხვევაში შემოქმედებითობა არ ატარებს სპეციფიკურად ენობრივ ხასიათს: ის, რომ თემატურად უსასრულო შინაარსის მქონე სინამდვილიდან გამოიყოფა ამ სინამდვილის ერთი სეგმენტი და სწორედ იგი იქცევა მოცემული ენის ნომინაციური რესურსებით სტრუქტურირების ობიექტად, უნდა მივიჩნიოთ არა იმდენად შიდა ენობრივ შემოქმედებად, არამედ ამგვარი შემოქმედების ლინგვოტრანსცენდენტური მიზნით გამოყენების მაგალითად. მაგრამ ასევე ჩვენი ტექსტოცენტრისტული ოპოზიციის თანახმად იგივე ტექსტის მეორე სტრუქტურულ განზომილებად უნდა მივიჩნიოთ მისი *კომპოზიციური* სტრუქტურა. როგორც უკვე ითქვა, არსებობს პრინციპული ასიმეტრია ტექსტის თემატურ და კომპოზიციურ სტრუქტურებს შორის: პირველის პროგნოზირება შეუძლებელია, მეორე კი უნდა ნიშნავდეს სულ რამდენიმე კომპოზიციურ ფორმათა შორის არჩევანის გაკეთებას. მიგვაჩნია, რომ სწო-

რედ ტექსტის ინტეგრალური სტრუქტურის ამ ორი პრინციპის გარდუვალი შეხვედრა წარმოადგენს. იმის აუცილებლობის დადსტურებას, რომ ლინგვოტრანსცენდენტური შემოქმედებითობა შეუძლებელი იქნებოდა ლინგვოიმანენტური შემოქმედების გარეშე. სად იწყება ეს ლინგვოიმანენტურობა, თუ დავეფუძნებით დინამიურობის და საფეხურეობრიობის პრინციპებს მათი ერთობლივი მოქმედების გათვალისწინებით?

როგორც იმ კომუნიკაციური სიტუაციის ფუნქციური არსიდან ჩანს, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ჟურნალისტური დისკურსის ისეთ ჟანრთან, როგორცაა რეპორტაჟი, ანუ ჟანრთან, რომელიც თავის მხრივ მიეკუთვნება ჟურნალისტური დისკურსის ინფორმაციულ კატეგორიას. და სწორედ ამ ჟურნალისტური ჟანრის კატეგორიიდან გამომდინარე უნდა მივიჩნიოთ, რომ კომუნიკანტი (ანუ ჟურნალისტი, რომელიც მოცემული ტექსტის სტრუქტურირებას ახდენს) აღწერს გარკვეულ პროცესს. ის, რომ მოცემული ტექსტის რეფერენტულ სივრცეს წარმოადგენს გარკვეული პროცესი, გამომდინარეობს რეპორტაჟის, როგორც ჟურნალისტური ჟანრის ფუნქციური არსიდან, ხოლო ის, რომ ამა თუ იმ პროცესის ტექსტად ქცევა (Vertextung) უნდა მოხდეს ისეთი კომპოზიციური ფორმის მეშვეობით, როგორცაა „აღწერა“, გამომდინარეობს ამ კომპოზიციური ფორმის ლინგვისტურად განსაზღვრული ფუნქციური არსიდან. როგორც ვხედავთ, დისკურს-ტექსტის ენერგისტული ანალიზი თავიდანვე უნდა ხდებოდეს ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიით, ხოლო ამ მეთოდოლოგიის თანახმად მოცემულ შემთხვევაში ფუნქციური პრიმატი უნდა მიენიჭოს დისკურსის ინიციატორის, ანუ ადრესანტის სოციალურ ფუნქციას. ეს ფუნქცია კი რეალიზებულია გარკვეული ჟურნალისტური ჟანრის სახით. ნათქვამიდან კი ჩანს, რომ – თუ გვექნება მხედველობაში ის, რასაც ენობრივი შემოქმედებითობა ვუწოდეთ (ეს შემოქმედებითობა მთლიანად ატარებს ლინგვოტრანსცენდენტურ ხასიათს) ერთი მხრივ, ტექსტი, რეფერენტული სივრცის შესაბამის ჟანრის და კომპოზიციური ფორმის არჩევა მთლიანად წარმოადგენს ჟურნალისტის, როგორც სუბიექტის საკუთრივ ენობრივ, მისი სოციალური როლით განპირობებულ აქტს. თუმცა ამავე დროს გასათვალისწინებელია, რა თქმა უნდა, ის უეჭველი ფაქტიც, რომ ხსენებული მიზნისა და როლის შესასრულებლად იგი ახორციელებს გარკვეული ენის (ამ შემთხვევაში გერმანული ენის) აქტუალიზაციას. თუ ვავიხსენებთ ჩვენი ჯერ კიდევ ჰიპოთეტური მოდელის ასპექტუალურ სტრუქტურას („საფეხურეობრიობა“, „დინამიურობა“, „იერარქიულობა“), მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ ვიმყოფებით ენერგისტული ანალიზის

პირველ და იქნებ ნულოვანთან ახლო საფეხურზეც კი: ეს ის საფეხურია, როცა შემოქმედებითი აქტივობა მთლიანად განისაზღვრება „გარედან“; ენა კი გამოყენებულია ამ აქტივობის მიერ, მაგრამ, ამავე დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ ენობრივი სისტემა, რომლის აქტუალიზაციაც ხდება, თავისთავად და ამ დისკურსული აქტისგან დამოუკიდებლად წარმოადგენს (სწორედ ჰუმბოლდტის მიხედვით) სამყაროს ხატს, ანუ სამყაროს, როგორც მთლიანის, შემოქმედებითი ათვისების შედეგს. შესაბამისად, მიუხედავად ყოველივე ზემოთ ნათქვამისა, დისკურსის ეს ინიციალური მომენტი მაინც უნდა მივიჩნიოთ ენერგეტიკული ანალიზის პირველ საფეხურად – იმ საფეხურად, რომელმაც პერსპექტივაში უნდა მიგვიყვანოს ლინგვიმანენტური შემოქმედებითობის, როგორც დისკურსული ფენომენის დანახვამდე. შესაბამისად, ეს ის პირველი საფეხურია, რომელიც იერარქიული თვალსაზრისით წარმოაჩენს არაენობრივ ფაქტორთა პრიმატს, მაგრამ, ამავე დროს, ზემოხსენებულის გათვალისწინებით უკვე შეიცავს დინამიურობის იმპულსს.

პირველი საფეხურის ხსენებით უკვე ვიგულისხმეთ მეორე საფეხურისა და იმის აუცილებლობაც, რომ მან მეტი გარკვეულობით უნდა წარმოაჩინოს ლინგვიმანენტურობა, როგორც დისკურსული ფენომენი. თუ დავეფუძნებით, ერთი მხრივ, ჩვენ მიერ უკვე განვილით თეორიულ გზას, პირველ რიგში კი ტექსტის სტრუქტურული დიქტომიურობის თეზისს, მაშინ გარდუვალად უნდა ვიგულისხმოთ, რომ „აღწერის“, როგორც კომპოზიციური ფორმის „მიღმა“, ენობრივ სისტემაში უნდა არსებობდეს – ვირტუალურად, მაგრამ აქტუალიზაციის „მზადყოფნაში“, – ზმნათა მთელი კატეგორიალური კლასი, ანუ ის ლექსიკურ-სემანტიკური ველი (თუ მიკროველი), რომელთა საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა იმ ენობრივი ქმედების დასახელება და განსაზღვრა, რომლის შესრულებას მოითხოვს ხსენებული ჟანრი და ხსენებული კომპოზიციური ფორმა. რა თქმა უნდა, ამგვარი დასახელება ან განსაზღვრა ატარებს უფრო ვირტუალურ, ვიდრე აქტუალურ ხასიათს (ასე, მაგალითად, მოცემული ტექსტის ავტორს შეეძლო, თავიდანვე ემცნო მაყურებლისთვის თავისი მიზანი და ამ შემთხვევაში მას აუცილებლად უნდა გამოეყენებინა ხსენებული ლექსიკურ-სემანტიკური ველის ესა თუ ის წევრი (მაგ., „Jetzt werde ich beschreiben...“ ან „werde ich ihnen berichten, was hier geschieht...“). ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველი იმ წინადადების სტრუქტურული ცენტრი, ანუ ის ზმნა, რომლის ვალენტობის რეალიზაციას ეს წინადადება წარმოადგენს – მიუხედავად იმისა, თუ რომელ კატეგორიალურ კლასს ეკუთვნის მოცემული ენის სისტემაში – უკვე ტრანსპონირებულია იმ კატეგო-

რიალურ კლასში, ანუ იმ ლექსიკურ-სემანტიკურ ველში, რომლის ვირტუალურმა თუ აქტუალურმა წარმომადგენელმა უკვე მოახდინა ყურნალისტის მიზნის დასახელება და განსაზღვრა.

სანამ გავაკეთებდეთ საბოლოო და გადამწყვეტ თეორიულ დასკვნას იმის თაობაზე, თუ რა უნდა მივიჩნიოთ ჰუმბოლდტისეულად გაგებულ იმ ლინგვოიმიანენტურ შემოქმედებად, რომელსაც ადგილი აქვს დისკურსის და შესაბამისად, ტექსტის ფარგლებში, გავაანალიზოთ ზემოთ დასახელებული სარეპორტაჟო ტექსტის სეგმენტი იმ ზმნათა ურთიერთმიმართების თვალსაზრისით, რომლებსაც შეიცავს ხსენებული სეგმენტი და დავსვათ კითხვა: რა თვალსაზრისით შეიძლება აღვიქვათ ამ ზმნათა ურთიერთმიმართება, როგორც ენერგეისტული ფენომენი?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია ხსენებულ ზმნათა თანმიმდევრული დასახელება, რათა თავიდანვე ცხადი იყოს მათი მიმართება პროცესუალურობასთან ორი შემდეგი თვალსაზრისით: ა) მათი მიმართება პროცესუალურობასთან როგორც იმ სემანტიკურ უნივერსალიასთან, რომელიც უნდა განსაზღვრავდეს მთელ მოცემულ ტექსტობრივ სემანტიკურ სივრცეს იმ უანრიდან გამომდინარე, რომელსაც, როგორც ზემოთ ითქვა, ეკუთვნის დისკურსის მოცემული ტიპი და შესაბამისად მოცემული ტექსტიც; ბ) ამის შემდეგ კი შევეცადოთ იმის განსზღვრას, თუ როგორია ამ ზმნათა სინტაგმატურად მოცემული ურთიერთმიმართება. ბუნებრივია, მივიჩნიოთ, რომ ამგვარ ანალიზს საფუძვლად უნდა ედოს თეზისი იმის თაობაზე, რომ ენაში ზმნათა ერთობლიობა ორგანიზებულია მიკროველების სახით.

ზემოთ ხსენებული ანალიზის პირველი ეტაპის განხორციელების მიზნით დავასახელოთ და ამოვწეროთ ხსენებული ზმნები და ამ გზით უკვე წარმოვადგინოთ მათი სემანტიკური ურთიერთმიმართება ისე, რომ ნათელი გახდეს ამ ურთიერთმიმართების ორი დონე – ენობრივ-პარადიგმატული და დისკურსულ-სინტაგმატური. წარმოვადგენთ ტექსტის ფრაგმენტს, რომელიც სწორედ ამ ზმნათა ერთობლიობას შეიცავს:

“Rauch steigt auf über Homs. Im Hintergrund sind immer wieder Explosionen und Gefechtsfeuer zu hören. Offenbar wurde eine Öl-Pipeline im Zentrum der Stadt getroffen. Die Rebellen und Zivilisten hier in Homs sind seit dem 4. Februar unter der Belagerung der regulären syrischen Armee. Alleine am Dienstag starben bei der Auseinandersetzungen mindestens 23 Menschen. Unter Lebensgefahr tragen sie ihre Toten zu Grabe. Auf You-Tube veröffentlichen sie Filme der Kämpfe. Die Amateurfilme kommentieren ihre Aufnahmen hier im Stadt Baba Amra:“das Bombardieren geht weiter im

Babahama. Assads Truppen schießen auf Baba Amra. Es ist Dienstag der 14.02.2012, wo seid ihr? Wo ist die Welt? Wir haben keinen außer Gott. Die Welt schaut zu und wir werden bombardiert“. Und das sind die Folgen des Bombardemens sichtbar überall in der Stadt. Und es ist zu befürchten, dass die Panzer so lange fahren werden, bis ihr tödliches Ziel erreicht haben – den Widerstand zu brechen.

[“Belagerung von Homs – Pipeline in Brand” ZDF – “heute” – Die aktuelle 19 Uhr – Nachrichten ↑ 15.02 2012)

ამგვარად ტექსტში შემდეგი ზმნებია წარმოდგენილი: steigen (-steigt); sein (-sind); treffen (-getroffen); sterben (-starben); tragen (-tragen); veröffentlichen (-veröffentlichen); kommentieren (-kommentieren); weitergehen (-geht weiter); schießen (-schießen); haben (-haben); zuschauen (-schaut zu); bombardieren (-bombardiert); befürchten (-befürchten); fahren (-fahren); erreichen (-erreicht); brechen (-brechen);

შვეიცადლოთ, ერთიმეორეს მიყოლებით განვიხილოთ ეს ზმნები იმ კლასიფიკაციების მიხედვით, რომლებსაც წარმოადგენენ უ. ენგელი და ჰ. ბრინკმანი. უ. ენგელი „ზმნათა სემანტიკური კლასიფიკაციისას პროცესის გამომხატველი ზმნების სამ კლასს გამოჰყოფს: მდგომარეობის გამომხატველ (sein, bleiben, liegen, sitzen), ხდომილების გამომხატველ (sich ereignen, rollen, sinken) და მოქმედების გამომხატველ ზმნებს (fahren, sehen, tanzen) [ენგელი 2004:212]. ჰ. ბრინკმანი „თავის სტატიასში „მეტყველების ნაწილები გერმანულში“ ზმნათა მთელ სიმრავლეში 5 ფენას გამოჰყოფს: 1. მოქმედების გამომხატველი ზმნები (Taetigkeitsverben); 2. პროცესის გამომხატველი ზმნები (Vorgangsverben); 3. მდგომარეობის გამომხატველი ზმნები (Zustandsverben); 4. ხდომილების გამომხატველი ზმნები (Geschehensverben); 5. ამინდის გამომხატველი ზმნები (Witterungsverben); „[შმიდტი 1967:192]. თუ განვიხილავთ ამ კლასიფიკაციას სამეტყველო კომპოზიციურ ფორმათა თვალსაზრისით, დავინახავთ შემდეგს: მიუხედავად იმისა, რომ კლასიფიკაციის ავტორი არ ეყრდნობა – ყოველ შემთხვევაში ექსპლიციტურად – ხსენებულ ფორმათა სემანტიკას ზმნათა ერთობლიობის მისეული დაყოფა მაინც ამჟღავნებს გარკვეულ ანალოგიას კომპოზიციურ ფორმათა ტიპოლოგიასთან. ჩვენი აზრით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ პროცესის, მდგომარეობის და ამინდის გამომხატველ ზმნათა სემანტიკა აშკარად იხრება „აღწერის“ როგორც კომპოზიციური ფორმის სემანტიკისკენ. მოქმედების და ხდომილების გამომხატველი ზმნები კი „მეტყობინებისკენ“ (მართალია, ამ კლასიფიკაციის მიხედვით ვერ დავასახელებთ ზმნებს, რომელთა სემანტიკა გადაიხრებოდა „მსჯელობისკენ“, მაგრამ ამ კომპოზიციური ფორმის ფარ-

გლებში შეიძლება აღმოჩნდეს ნებისმიერი ზმნა). ვფიქრობთ, ჩვენი კვლევითი მიზნებისთვის აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზმნათა ამ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით ბრინკმანი გამოჰყოფს წინადადების სამ ძირითად მოდელს – ზმნურ, სუბსტანციურ და ადიექტივურ წინადადებებს იმის მიხედვით, თუ რომელი ზმნითაა წარმოდგენილი წინადადების შემასმენელი. როგორც ვხედავთ, როგორც ზმნათა, ისე სინტაქსური მოდელის ბრინკმანისეული კლასიფიკაცია თავისი შინაგანი ლოგიკით ადასტურებს ჩვენს თეზისს იმის შესახებ, რომ ვერბოცენტრიზმი უნდა მივიჩნიოთ არა მხოლოდ წინადადების, არამედ ტექსტის კომპოზიციურ პრინციპად.

წინა აბზაცში ვიმსჯელებთ ჩვენ მიერ გამოყოფილ ზმნებზე ენის, როგორც სისტემის პარადიგმატიკაზე დაყრდნობით. და ვნახეთ, რომ ეს ზმნები განეკუთვნებიან ბრინკმანის მიერ გამოყოფილ განსხვავებულ სემანტიკურ კლასებს. ამასთან ერთად კი ვნახეთ შემდეგიც: თუმცა ბრინკმანთან არა გვაქვს ზმნათა სემანტიკური კლასიფიკაცია კომპოზიციურ ფორმათა მიხედვით, მაინც არსებობს შესაბამისობა ზმნათა ერთობლიობის კლასიფიკაციური ხედვის ამ ორ ვარიანტს შორის. შესაბამისად ისმის კითხვა იმის თაობაზე, თუ რა მიმართებაშია ტექსტში აქტუალიზირებულ და სინტაგმატურად ურთიერთგანლაგებულ ზმნათა სემანტიკა ზემოთ განხილულ პარადიგმატულ სემანტიკასთან?

იმისთვის, რომ ამ კითხვას გაეცეს პასუხი, აუცილებლად მიგვაჩინია, დავეკავშიროთ ერთმანეთს ზემოთ განხორციელებული ჩვენი მსჯელობის ორი მომენტი – ა) თეორიული მომენტი, რომლის მიხედვით ნებისმიერი ტექსტი შეიცავს ორ სტრუქტურულ განზომილებას – თემატურსა და კომპოზიციურს – თუმცა, ამავე დროს, ცხადი უნდა იყოს, თუ შეიძლება ასე ითქვას, კომპოზიციური განზომილების ონტოლოგიური პრიმატი თემატურის მიმართ: თემატურობა უსასრულოდ ცვალებადია, კომპოზიციურობა კი ეფუძნება გარკვეულ და მინიმუმამდე სტრუქტურულად შეზღუდულ ინვარიანტს. შესაბამისად, უნდა მივიჩნიოთ, რომ ზმნათა აქტუალიზაცია ტექსტის დონეზე და მის ფარგლებში განსხვავებულად უნდა ხდებოდეს ამ ორი განზომილების – თემატური და კომპოზიციური განზომილებების – ფარგლებში. და რაში უნდა მდგომარეობდეს ეს განსხვავება? ამ კითხვაზე ვუპასუხებთ მაშინ, როცა დავასახელებთ ამ ჩვენი მსჯელობისთვის მნიშვნელოვან მეორე ბ) მომენტსაც: მიმართებას, ერთი მხრივ, ზმნათა პარადიგმატიკასა და სემანტიკას, მეორე მხრივ კი ტექსტის თემატურ და კომპოზიციურ სტრუქტურებს შორის. და თუ ასე, ანუ ფუნდამენტურად გავიგებთ სინტაგმატურ სემანტიკას, მაშინ ზემოთ

მოყვანილი ტექსტობრივი ფრაგმენტის ანალიზი მიგვიყვანს შემდეგ დასკვნამდე: მის ფარგლებში მოცემული ყოველი წევრი უნდა ასრულებდეს ერთდროულად ორ ურთიერთდაპირისპირებულ ფუნქციას – უნდა პასუხობდეს ერთდროულად როგორც ტექსტის თემატური, ისე კომპოზიციური სტრუქტურის მოთხოვნებს.

როგორც ზემოთ განხორციელებული ანალიზიდან გამომდინარეობს, მოცემულ ტექსტობრივ ფრაგმენტს, უფრო მეტად კი ამ ფრაგმენტის სემანტიკურ სივრცეს, უნდა განაპირობებდეს პროცესუალურობა; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყოველი ამ სივრცეში „მოხვედრილი“ ზმნა – რომელ პარადიგმატულ ველსაც უნდა ეკუთვნოდეს იგი ენის სისტემაში – თავისი სემანტიკით უნდა იქნას ინტეგრირებული პროცესუალობაში და იქცეს მისი, როგორც მთლიანის, კომპონენტად. სხვანაირად რომ ვთქვათ: მიუხედავად თავისი პარადიგმატული სემანტიკისა, იგი უნდა გამოხატავდეს პროცესუალურობის გარკვეულ ასპექტს თუ ნიუანსს. აქედან გამომდინარე კი უნდა დავასკვნათ: ნებისმიერი რეფერენტული სიტუაციის „გატექსტება“ (Vertextung) გულისხმობს ზმნათა იმ სემანტიკურ ტრანსფორმაციას, რომელიც ეფუძნება ტექსტის შინაგან სტრუქტურულ დიქტომიას. ვფიქრობთ, ჩვენმა თეორიულმა მსჯელობამ და ამ მსჯელობის შესაბამისმა ანალიზმა დაგვანახა, ერთი მხრივ ის, თუ როგორ შეიძლება იქნას დანახული დისკურს-ტექსტის შემოქმედებითობა ამ სიტყვის პირველადი და პრინციპული გაგებით, მეორე მხრივ კი დაგვანახა იმ მეთოდური გზის ზემოთპოსტულირებული ვექტორის ადეკვატურობაც, რომლის ტექსტობრივი სტრუქტურა მოიცავდა საფეხურებრიობის, იერარქიულობის და დინამიურობის აუცილებელ მომენტებს.

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ მიერ განხორციელებული მსჯელობა და ანალიზი თეორიულადაც და მეთოდოლოგიურადაც მიზნად ისახავს ლინგვიკომანენტური და ამავე დროს დისკურს-ტექსტის ფარგლებში განხორციელებული შემოქმედებითობის, ანუ ჰუმბოლდტი-სეულად გაგებულ ენერგეისტულობის დემონსტრირებას, საჭიროდ მიგვაჩნია ამ შემთხვევაში ჩვენ მიერ გამოყენებული მეთოდის შემდეგ მომენტთა ხაზგასმა:

ა) ჩვენ სავსებით შეგნებულად ვთქვით, რომ ჩვენი მიზანია დისკურს-ტექსტის, როგორც ენობრივი ფენომენის ენერგეისტულობის დემონსტრირება.

ამ სიტყვა – ტერმინის ანუ „დემონსტრირების“ გამოყენებით გვსურდა შემდეგის თქმა: როცა ლაპარაკია ენის, როგორც ფენომენის ონტოლოგიურად ფუნდამენტურ ნიშან-თვისებებზე იმ გაგებით, როგორც მსჯელობს ჰუმბოლდტი, ამ მსჯელობის წყაროს და საფუძველს

უნდა წარმოადგენდეს ფენომენის აქსიომატური, უშუალოდ აღქმული და ამგვარ აღქმაზე დაფუძნებული დეფინიციები. უნდა მივიჩნიოთ, რომ სწორედ ასეთია ჰუმბოლდტის მიერ ენის, როგორც „ენერგეის“ და არა როგორც „ერგონის“ ხედვა. ხოლო რაც შეეხება ენის ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის კვლევას, რომელიც ენის როგორც სამყაროს ენერგეისტულად (შემოქმედებითად) გაგებულ ხატს დაეფუძნა და ამავე დროს ეფუძნებოდა ველის ცნებასაც, იგი შესაძლებელი გახდა მხოლოდ ენის ჰუმბოლდტის მიერ წარმოდგენილი ხედვის კვალდაკვალ. თუმცა, რა თქმა უნდა, ამავე დროს გათვალისწინებულ იქნა ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის ძირითადი ასპექტები. რაც შეეხება თვით ამ ასპექტებს, თანამედროვე ლინგვისტიკის ენაზე თუ ვიტყვით, საქმე ეხებოდა ლექსემათა ნომინაციურ ფუნქციასა და მათ სემურ სტრუქტურას. მაგრამ, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ჰუმბოლდტი ენერგეისტულად ხედავდა ენის არა მხოლოდ სისტემურ, არამედ ენის დისკურსულ-ტექსტობრივ ასპექტსაც. ენის ჰუმბოლდტისეულ ანუ ენერგეისტულ კონცეფციას თუ დავინახავთ თეორიულ-კონცეპტუალურად, რაც ბუნებრივია უნდა ნიშნავდეს დისკურს-ტექსტის ასევე ენერგეისტული ბუნების დანახვას, მაშინ ეს ხედვა ისევე უნდა დაეფუძნოს დისკურსისა და ტექსტის ფუნდამენტურ ფუძემდებელ ნიშან-თვისებებს, როგორც ენობრივი სისტემის, როგორც სამყაროს ენობრივი ხატის დესკრიფციის მცდელობას; როგორც ზემოთ ითქვა, ეს დესკრიფცია დაეფუძნა ნომინაციისა და სემური ანალიზის ერთობლივ თეორიას.

ზემოთ ნათქვამის შესაბამისად, ბუნებრივია ისმის კითხვა: როგორ უნდა დავინახოთ უკვე დესკრიფციულ დონეზე განხორციელებული ლინგვიმანენტური, ე.ი. დისკურსულ-ტექსტობრივ რეალობაში დანახული ენერგეისტულობა, თუ ამ მიზანს განვახორციელებთ ისე, როგორც ეს მოხდა ენის სისტემურ დონეზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთდროულად უნდა გავითვალისწინოთ ორი ერთნაირად ფუნდამენტური მონაცემი – ა) ამ რეალობის ჰუმბოლდტისეული ახსნა და ბ) ამ რეალობის ის ფუნდამენტური ასპექტები, რომლებსაც გამოყოფს და აღწერს თანამედროვე ლინგვისტიკა. დავეფუძნეთ რა ამ ანალოგიის ამგვარად გაგებულ პრინციპს, შევეცადეთ დავყრდნობოდით დისკურს-ტექსტის ორ ასეთ ასპექტს – თემატურსა და კომპოზიციურს, რადგან, ჩვენი აზრით, დისკურსსა და ტექსტზე მსჯელობის ნებისმიერი სხვა ასპექტი საბოლოო ანგარიშში უნდა ეყრდნობოდეს თემატურობისა და კომპოზიციურობის ურთიერთმიმართებას, როგორც ტექსტობრიობის უპირველეს განზომილებას.

დამოწმებანი

„Belagerung von Homs – Pipeline in Brand“ ZDF – „heute“ – Die aktuelle 19 Uhr –Nachrichten“ 15.02 2012.

ენგელი 2004: Engel U., Deutsche Grammatik:Verbklassifikationen, Klassifikation nach der Bedeutung, München:iudicium, 2004.

ეპლერი 2008: Eppler I., Die Satzglieder und ihre Darstellung in der Grammatik,Uni-Würzburg:GRIN-Verlag für akademische Texte, 2008.

ფოლმერტი 2005: Volmert J., Grundkurs Sprachwissenschaft, 5. Auflage, W.Fink UTB, 57, 2005.

ჰუმბოლდტი 1973: Humboldt W. von, Schriften zur Sprache:Einleitung zum Kawi-Werk, Pilipp Reclam Jun. Stuttgart, 1973.

შმიდტი 1967: Schmidt W., Grundfragen der deutschen Grammatik, Eine Einführung in die funktionale Sprachlehre:Die fünf morphologisch-funktionale Verbklassen H.Brinkmanns, Volk und Wissen Volkseigener Verlag Berlin, 1967.

The Humboldtian Concept of Language and Discourse as a Creative Act

Linguoimmanent Creativity and the Humboldtian Analysis of Discourse

Eliso Odikadze

Ilia State University

As a rule, when Humboldt's works are discussed, emphasis is laid on those aspects of his ideas, which regard language as an image of the world and something that "in itself is no product (ergon), but an activity (energeia)" (*Sie selbst ist kein Werk (Ergon), sondern Tätigkeit (Energeia)* [Humboldt 1973:36].) However, there is another component of Humboldt's ideas, which is focused not so much on the linguistic interpretation of the world as a whole, but on speech ("discourse") as a linguistic phenomenon. In this case too, Humboldt emphasizes the creative essence of language.

Our goal is to focus precisely on "speech in its entirety" when considering the Humboldtian conception of language, because Humboldt directly links the functional essence of language (and, correspondingly, its creativity) to speech: "*die Devinition des jedesmaligen Sprechens ... kann man nur gleich an die Totalität dieses Sprechens als die Sprache ansehen*". He believed that it was only speech in its entirety, not individual elements of language, that fully expressed (or reflected) language: "*Gerade das Höchste und Feinste läßt sich an jenen Elementen nicht erkennen und kann nur ... in der verbundenen Rede wahrgenommen oder geahndet. Nur sie muß man sich ... als das Wahre und Erste denken*" [Humboldt 1973:36]. It seems that, according to Humboldt, it is in speech that the source and roots of linguistic creativity should be sought. In his opinion, it is in discourse that the essential self-expression of language takes place. Thus, for Humboldt, it can be said that linguistic creativity has two aspects :

